2023 წლის 16 ივნისს, ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ ეგიდით გაიმართა მორიგი სემინარი, რომელზეც წარმოდგენილი იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - ***„საქართველო და ბიზანტიური თანამეგობრობა: პოლიტიკა, კულტურა და იდენტობა იმპერიის საზღვრებზე (XI საუკუნე)“*** შედეგების პრეზენტაცია. პროექტი განხორციელდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე და მასში მონაწილეობდნენ: ისტორიის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მზია სურგულაძე** (პროექტის ხელმძღვანელი), ფილოლოგიის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **თამარ ოთხმეზური** (ძირითადი შემსრულებელი), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **მზია ჯანჯალია** (ძირითადი შემსრულებელი), ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთვარი მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ჭეიშვილი** (ძირითადი შემსრულებელი), ილიაუნის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი **ნათია დუნდუა** (კოორდინატორი).

პროექტი შესრულებულია თანამედროვე ბიზანტინისტიკაში ფართოდ განხილვადი კვლევითი კონცეფციის ფარგლებში და მასში განხილულია შემდეგი საკითხები: რამდენად განსაზღვრავდა ბიზანტიური ზეგავლენა ახალგაზრდა ქართული მონარქიის პოლიტიკური სუვერენიტეტის ხარისხს; იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ელიტის სახელმწიფოებრივ, რელიგიურსა და კულტურულ იდენტობებს; რა მექანიზმებს იყენებდნენ ბიზანტიური განათლების დაუფლებისა და იმავდროულად, სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის.